

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომის

ოქმი №17

ქ.ვანი. თავისუფლების ქ.№65

16 ოქტომბერი 2019 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვაროსანიძე, გელა ჩიკვაძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე.(დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: კობა ძაგნიძე, რამაზ არველაძე. გელა ღვიტიძე.

სხდომას ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი- **ლუიზა ჯოგლიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

**მოწვეული პირი:**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის უფროსი -**ივანე მამფორია**.  
ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი- **ზვიად კაპანაძე**.

სხდომა 14<sup>00</sup>-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2019 წლის 16 ოქტომბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის

**დღის წესრიგის პროექტი**

1.,,ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ “ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე”.

მომხს./ივანე მამფორია/

2.,,ვანის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებების და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“.

მომხს./გიორგი ივანიძე/

3.,,ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზეინდარში მდებარე 1040 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.17.24.136) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.”

მომხს./ზვიად კაპანაძე/

4.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 63-ში, 573 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.219) განთავსებული შენობა-ნაგებობის, მეორე სართულზე მდებარე 14.5 კვმ, 32.5 კვმ 14.3 კვმ ფართობის ელექტრონული აუქციონის ფორმით, იჯარით, 5 წლის ვადით გასხვისებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე”

მომხს./ზვიად კაპანაძე/

5.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, სოლომონ მეორის ქუჩაზე მდებარე 112 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.01.29.376) განთავსებულ მგზავრთა მოსაცდელში არსებული 1.5 კვმ ჯიხურის ელექტრონული აუქციონის ფორმით, იჯარით, 5 წლის ვადით გასხვისებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს./ ზვიად კაპანაძე/

საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2019 წლის 16 ოქტომბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება ეხება ერთ საბიუჯეტო პროგრამას, კერძოდ: „გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვის“ ასიგნება იზრდება 124,2 ათასი ლარით, მათ შორის საბიუჯეტო სახსრები ფონდის გარეშე 6,2 ათასი ლარით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებით გამოყოფილი სახსრები -118,0 ათასი ლარით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2019 წლის 17 ოქტომბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ, წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპატოო წოდებების და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2015 წლის 29 მაისის N24 დადგენილება „საპატოო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის დებულების დამტკიცების შესახებ“ და წარმოადგინა ახალი დებულება.

დებულების გაცნობის შემდეგ ბიუროს წევრების მხრიდან იყო სხვადასხვა შენიშვნები. საკრებულოს თავმჯდომარემ აზრთა სხვადასხვაობის გამო გამოთქვა წინადადება, რომ გაეთვალისწინებინათ ეს შენიშვნები, შეეტანათ დებულებაში და წარმოედგინათ ახალი დებულების პროექტი მომდევნო საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა თავის წინადადებას.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი არ განხილულიყო 2019 წლის 17 ოქტომბრის საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზეინდარში მდებარე 1040 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.17.24.136) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ მიწაზე განთავსებულია იუსტიციის სახლი და შესაბამისად მიწა გადაეცემა სახელმწიფოს საკუთრებაში.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2019 წლის 17 ოქტომბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წერიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 63-ში, 573 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.219) განთავსებული შენობა-ნაგებობის, მეორე სართულზე მდებარე 14.5 კვმ, 32.5 კვმ 14.3 კვმ ფართების ელექტრონული აუქციონის ფორმით, იჯარით, 5 წლის ვადით გასხვისებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2019 წლის 17 ოქტომბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წერიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, სოლომონ მეორის ქუჩაზე მდებარე 112 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.01.29.376) განთავსებულ მგზავრთა მოსაცდელში არსებული 1,5 კვმ ჯიხურის ელექტრონული აუქციონის ფორმით, იჯარით, 5 წლის ვადით გასხვისებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2019 წლის 17 ოქტომბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

**ალექსანდრე ლილუაშვილი**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე